

უძრავი ქონების ბაზარი... 2017 (3)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2017 წლის მარტის თვეში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 11.7%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 67 414 ერთეული შეადგინა. ა.წ. მარტი 2013-2016 წლების იმავე თვესთან შედარებით ცალსახა ზრდით გამოირჩევა: 2013 წლის მარტთან (38 359 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 75.7%-ით, 2014 წლის მარტთან (44 206 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 52.5%-ით, 2015 წლის მარტთან (49 025 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 37.5%-ით, 2016 წლის მარტთან (60 340 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 11.7%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 17.0%-ით გაიზარდა: ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველადი (19.7%-ით), ისე მეორადი (16.1%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2017 წლის მარტის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) დაფიქსირდა 1.602 დონეზე, რაც აღემატება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (1.434).

ამჟამად, რომ წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა უძრავი ქონების როგორც პირველადი (34.8%-ით), ისე მეორადი (5.2%-ით) ტრანზაქციების რაოდენობა. 2017 წლის მარტის თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ 17 952 ერთეული შეადგინა, საიდანაც 11 178 ერთეული სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციაა. მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ კი 49 462 ერთეული შეადგინა, საიდანაც 6 155 სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაციაა, ხოლო 3 583 - სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილების რეგისტრაცია (რეგისტრაციის გაუქმება).

სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით, შესაბამისად, 1.622 და 1.595 დონეებზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: 2017 წლის მარტში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 73.4%-ს მეორადი, ხოლო 26.6%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენს (2016 წლის მარტში კი, შესაბამისად, 77.9% და 22.1%).

ა.წ. მარტის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა...

მარტი, 2016-2017

(ბ) ცხრილი - უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... მარტი, 2017

(გ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2017



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

(ა) უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა. მარტი, 2016-2017

ინდიკატორები	ზ.ე.	მარტი	
		2016	2017
რაოდენობა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	13315	17952
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	47025	49462
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	60340	67414
სტრუქტურა			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	22.1	26.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	77.9	73.4
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	16.7	19.7
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	12.5	16.1
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	13.4	17.0
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	49.9	34.8
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	17.1	5.2
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	23.1	11.7
სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.203	1.622
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.517	1.595
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.434	1.602

(ბ) უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. მარტი, 2017

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა		პროცენტი
		მარტი 2017	მარტი 2016	თებერვალი 2017
1	თბილისი	20103	7.1	14.0
2	ბათუმი	4611	10.2	9.4
3	გარდაბანი	2296	48.3	21.5
4	გორი	2135	17.3	16.5
5	ქუთაისი	2086	18.1	-10.4
6	მცხეთა	2051	8.6	20.9
7	მარნეული	1707	95.3	29.3
8	ზესტაფონი	1510	97.1	12.7
9	ზუგდიდი	1312	1.1	7.7
10	რუსთავი	1289	-1.5	3.1

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2017

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2017
ტრანზაქციების რაოდენობის დინამიკა (ერთეული)

